საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გადაწყვეტილება №01

ქ. ბათუმი **13 ივლისი, 2016 წ.**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (2016 წლის 8 ივლისის N61600884), წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, წესის №1 დანართს დაემატოს მე–9 მუხლი შემდეგი რედაქციით:

   „მუხლი 9.გარდამავალი დებულებები

   1. 2015-2016 სასწავლო წლის მეხუთე და მეექვსე ეტაპის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანება ბსუ-ს რექტორის მიერ შეიძლება გამოიცეს ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 22 ივლისისა.“
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**